PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

თვითმმართველი ერთეული მესტიის მუნიციპალიტეტი

საპროექტო მომსახურების შესყიდვის

ს ა კ ო ნ ს კ უ რ ს ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დ.მესტია 2014 წელი

PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

მესტიის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

1. შესყიდვის ობიექტი:

ა) დ. მესტიაში აღმაშენებლის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა .

ბ) სოფ, ჭუბერის საავტომობილო გზის კეთილმოწყობა.

გ) სოფ, ნაკრის ცენტრალური საავტომობილო გზის კეთილმოწყობა .

2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 278 000 (ორას სამოცდა თვრამეტი ათასი) ლარს.

3. დაფინანსების წყარო : საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები. (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 აპრილის #641 განკარგულება)

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები: საპროექტო დოკუმენდების მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღე (ექსპერტიზის მომსახურების ვადის 30 დღის გათვალისწინებით)

5. კონკურსში მონაწილეობის საფასური: საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი) . საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.spa.gov.ge

სააგენტოს ანგარიშის ნომერი რომელზეც გადაიხდება საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასური	
მიმღები ბანკი	ს.ს ბანკ რესპუბლიკის ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი	REPLGE22
მიმღები	ს.ს.ი.პ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
მიმღები ანგარიშის #	GE52BR0000010591718543

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი.

ბ) შემსყდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

ა) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

ბ) საკონკურსო განაცხადის უნიკალური ნომერი.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

შენიშვნა : საკონკურსო წინადადება რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე–5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, მონაწილე პირის საკონკურსო დოკუმენტაცია ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადება დალუქული კონვერტით, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის ქვითარი , საკონკურსო წინადადება, რომელიც უნდა მოიცავდეს შესყიდვის ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულებას, ინფორმაციას კონკურსანტის გამოცდილების შესახებ, ინფორმაციას მომსახურების გაწევის ვადის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემებს.

6.1 ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, დალუქული კონვერტით 2014 წლის 29 აპრილიდან 2 მაისის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: დაბა მესტია, სეტის მოედანი №1, მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

6.2 კონკურსი ჩატარდება 2 მაისს 17:00 საათზე.

7. წარმოსადგენი დოკუმენტაცია.

7.1.პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- საკონკურსო წინადადების ფასი, წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარებში და შეიცავდეს დღგ–ს.
- რეკვიზიტებს (დანართი #1)
- ხარჯთაღრიცხვას (დანართი #2)
- ინფორმაციას გამოცდილების შესახებ.

- პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს 5 (ხუთი) წლიანი გზების კაპიტალური მშენებლობის ან/და აღდგენა– რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის გამოცდილება. (წარმოდგენილ იქნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ხელშეკრულებების და ამ მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები) .

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

- ამავე დროს პრეტენდენტს უნდა ქონდე (ქვეკონტრაქტორთან ერთად) უკანასკნელი 3 (სამი) წლ[illegible] განმავლობაში შესრულებული არანაკლებ 15 მლნ. ლარის ღირებულების ანალოგიური ხასიათ[illegible] სირთულის და შინაარსის სამუშაოების საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა ჰყავდეს შემდეგი სპეციალისტები:
  1. გუნდის ხელმძღვანელი – ინჟინერი.
  2. საგზაო ინჟინერი.
  3. ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი.
  4. ტოპოგრაფიული კვლევის სპეციალისტი.
  5. ინჟინერ–გეოლოგი.
  6. ჰიდროლოგი.
  7. შესყიდვების/კონტრაქტების სპეციალისტი.
  8. განსახლების სპეციალისტი.
  9. გარემოს დაცვის სპეციალისტი.
  10. ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი.

შენიშვნა: სპეციალისტების რაოდენობა მინიმუმ 1. გამოცდილება თითოეული სპეციალისტის მინიმუმ 3 წლიანი.

ა) საკონკურსო გაცხადების მე-7 პუნქტის „7.1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული, ხელმოუწერელი და ბეჭედ დაუსმელი დოკუმენტაცია არ განიხილება და უკან დაუბრუნდება კონკურსანტს.

ბ) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, რომლის ღირებულება აღემატება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

8. კონკურსანტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში , საკონკურსო კომისია მოახდენს ამ კონკურსანტის დისკვალიფიკაციას.

9. არარეზიდენტმა კონკურსანტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

10. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

10.1 კონკურსანტის გამოცდილება 0,6 .

10.2 საკონკურსო წინადადების ფასი 0,4.

10.3 შეფასება განხორციელდება 10 ბალიანი სისტემით.

10.4 გამარჯვებულად ჩაითვლება იმ კონკურსანტის საკონკურსო წინადადება რომელიც ტექნიკური და ფინანსური ნაწილის შეფასების შედეგად დააგროვებს ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას.

11. კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან, გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

12.ხელშეკრულების უზრუნველყობის საბანკო გარანტია:

12.1კონკურსში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3% –ის ოდენობით. (დანართი #2 ის მიხედვით). იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურსში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული საბოლოო ფასი 20% ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე შემსყიდველ ორგანიზაციას გამარჯვებულ ორგანიზაციას მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 6% იდან 10 % ამდე ოდენობით. ასევე მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად კონკურსით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

12.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

პროექის აუცილებელი შემადგენლობა:

- განმარტებითი ბარათი;
- გრაფიკული ნაწილი–ნახაზები;
- სამუშაოს მოცულობები, ხარჯთაღრიცხვები;
- ტექნიკური სპეციფიკაციები;
- გარემოსდაცვითი მართვის გეგმა;

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

1. საკვლევ–საძიებო სამუშაოები:

1.ტერიტორიის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა და ობიექტის შესაბამისი დეტალური დასკვნის წარმოდგენა (საჭიროების შემთხვევაში – გრაფიკული ჭრილებით).

2.ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარება UTM კოორდინატთა სისტემაში (GeoCORS).

3.გზის ელემენტების (სავალი ნაწილი, ტროტუარი, ბორდიური, საკომუნიკაციო ჭები) და ხელოვნური ნაგებობების (საყრდენი კედლების, ჯებირების) მდგომარეობის შესწავლა.

4.ზედაპირული წყლების მოცილების ღონისძიებების შესწავლა და ანალიზი (საჭიროების ჰიდროლოგიური კვლევის ჩატარება).

5.არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია, მაღალი ძაბვის კაბელები, კავშირგაბმულობის ქსელები და სხვა) მდგომარეობის შესწავლა, დატანა სიტუაციურ გეგმაზე და შეთანხმება შესაბამის სამსახურებთან.

6.გზის კაპიტალური შეკეთების სხვადასხვა ვარიანტების დამუშავება, მათი ტექნიკურ-ეკონომიური შედარება და შეთავაზება დამკვეთისთვის (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება - ეკონომიური ვარიანტით).

2. მუშა პროექტის შედგენა მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სტანდარტების დაცვით

1. განმარტებითი ბარათი (უნდა შეიცავდეს: ობიექტის არსებული მდგომარეობის დეტალური აღწერას, არსებული გზის ძირითადი მაჩვენებლებს, რომლებიც ასახავენ გზის არსებულ პარამეტრებს და მის მდგომარეობას, გზის და ხელოვნური ნაგებობების აღწერას, საპროექტო გადაწყვეტილებებს, არსებულ გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიობის მონაცემებს, შესასრულებელ სამუშაოთა აღწერას და სხვა).

2.სავალი ნაწილისა და ტროტუარის სამოსის კონსტრუქციის ტიპების შერჩევა საანგარიშო ღერძული დატვირთვების და მოძრაობის ინტესივობის გათვალისწინებით.

3.საჭიროების შემთხვევაში სავალი ნაწილისა და ტროტუარების გაბარიტების კორექტირება გაუმჯობესების მიზნით არსებული სიტუაციის გათვალისწინებით და დამკვეთთან შეთანხმებით.

4.სიტუაციური გეგმები (რეპერების კოორდინატების მითითება):

4.1. საგზაო სამოსის კონსტრუქციის ტიპების და ხელოვნური ნაგებობების დატანით.

4.2. არსებული და საპროექტო მიწისქვეშა კომუნიკაციების და ქსელების დატანით.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

5.სქემატური ნახაზები (საჭიროების მიხედვით).

6.განივი პროფილები, გადაღებული ყოველ 300 მ-ში და მახასიათებელ წერტილებში (უნდა შეიცავდეს: საპროექტო, მიწის და მუშა ნიშნულებს, მანძილებს მახასიათებელ წერტილებს შორის, განივი ქანობების გრაფიკულ ასახვას რიცხობრივ მაჩვენებლებთან ერთად, მიმდებარე სიტუაციას. დატანილი უნდა იყოს საპროექტო და არსებული ხელოვნური ნაგებობები პარამეტრებთან ერთად).

7. გრძივი პროფილები გზის ღერძის გასწვრივ, (უნდა შეიცავდეს: საპროექტო (წითელ), მიწის (შავ) და მუშა ნიშნულებს, კილომეტრაჟს, პიკეტაჟს და მანძილებს მახასიათებელ წერტილებს შორის, გრძივი ქანობების, ვერტიკალური და ჰორიზონტალური მრუდების გრაფიკულ ასახვას რიცხობრივ მაჩვენებლებთან ერთად, დატანილი უნდა იყოს საპროექტო და არსებული ხელოვნური ნაგებობები პარამეტრები).

8.საჭიროების შემთხვევაში მოსაწყობი კომუნიკაციების (მ.შ. სანიაღვრე და კანალიზაცია) და ხელოვნური ნაგებობების მუშა ნახაზები (გეგმები, ჭრილები, სპეციფიკაციები და სხვა) და ანგარიშები.

9.ცხრილები და უწყისები. მათ შორის:

9.1.საპიკეტო უწყისები.

9.2.მოხვევის კუთხეების, სწორებისა და მრუდების უწყისი, რეპერების დამაგრების უწყისი, მრუდებზე ვირაჟების დაკვალვის უწყისი.

9.3. კრებსითი უწყისები მასალების, საგზაო სამოსის ფართების, საკომუნიკაციო ჭების, მეორადი შესაძლო გამოსაყენებელი მასალების, ელექტროგადამცემი ხაზების, წყალსადენების, კავშირგაბმულობის კაბელების და სხვა კომუნიკაციების გადატანის და სხვა უწყისები, სადაც გარკვევით უნდა იყოს ასახული თითოეული სამუშაოს ზუსტი მოცულობები და არ უნდა იყოს მითითებული, რომ ისინი უნდა დაზუსტდეს კონტრაქტორი და საზედამხედველო ორგანიზაციების მიერ.

10.მოძრაობის ორგანიზაციის (საგზაო ნიშნები, ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნა) პროექტის შედგენა.

11.მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საბაზრო ფასებით და სამშენებლო რესურსების ფასთა კრებულის მიხედვით.

12.მშენებლობის ორგანიზაცია (მ.შ. სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური სქემები, კალენდარული გრაფიკები, მანქანა–მექანიზმების ჩამონათვალი, შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები და სხვა);

13.მშენებლობის პერიოდში ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის სქემის მომზადება და შეთანხმება შესაბამის სამსახურებთან;

14.საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა 3 (სამი) ეგზემპლარად და ელექტრონული

ვერსიის სახით (DWG და PDF ფორმატში, ხარჯთაღრიცხვა -Excell-ის ფორმატში).

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

3. სხვა მოთხოვნები:

1. გზის სამოსის, ტროტუარისა და ბორდიურის ტიპების, აგრეთვე ხელოვნური ნაგებობების (მ.შ. პარაპეტი, საყრდენი კედელი და სხვა) მოწყობის საკითხის შეთანხმება დამკვეთ ორგანიზაციასთან.

2.მშენებარე ინფრასტრუქტურის ობიექტების სავარაუდო ქსელებისათვის საჭირო დიამეტრის განივი გარცმის მილების გათვალისწინება.

3.გასაკეთებელ ქუჩაზე არსებული ასფალტის საფარის (ფრეზირებული მასის) გამოყენება ასფალტის გრანულატის სახით (შესაძლებლობის ფარგლებში).

4. საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტაციაში უნდა იყოს უწყისები შესასყიდი კერძო ნაკვეთების, ნარგავების და შენობა_ნაგებობების შესახებ, დასაკავებელი მიწების (გზის განთვისების ზოლში) ოდენობა, მათი სახეობა, დანიშნულებები და სხვა მახასიათებლები (შენობა_ნაგებობები, ხეხილი, ბიზნესაქმიანობა და ა.შ.) საპროექტო გზის განთვისების ზოლში მოხვედრილი მოსახლეობისათვის, მათი ქონების გამოსყიდვისა და განსახლების ქმედებებისათვის საჭირო ზომები და მისი ღირებულებები დასაკავებელი მიწებისა და განსახლების საკითხების გათვალისწინებით. ამასთანავე უწყისები აღსადგენი ღობეების და სხვა ობიექტების შესახებ.

5.დაპროექტების პროცესში, ტექნიკური დავალებით გაუთვალისწინებელი გარემოების გამო საპროექტო დოკუმენტაციაში საჭირო ცვლილებების შეტანა დამკვეთთან შეთანხმებით.

6.ექსპერტიზის შენიშვნების დროული გასწორება, დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

3.1.2 საპროექტო დოკუმენტაციების მიღება–ჩაბარების აქტი გაფორმდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემთხვევაში (ექსპერტიზის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი).

შენიშვნა: ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს სსიპ–ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროუნულ ბიუროში.

3.1.3 საპროექტო დოკუმენტაციების მიწოდების ადგილი: დ. მესტია სეტის მეოდანი #1.

3.3 ანგარიშსწორების პირობები:

3.3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.3.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურადგაწეული მომსახურების მიხედვით.

3.3.3 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) წესი განისაზღვრება
ხელშეკრულების პროექტით განსაზღვრული პირობებით.

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

4.2 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. საკონტაქტო პირი: მარიამ ნაკანი, ტელ: 599855558. ბექა მერლანი ტელ. 595 08 95 05.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

- ი[illegible]ემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო [illegible]კუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატ[illegible] საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.
- პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით შეთანხმდება შემსყიდველთან.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:

1. ტოპოგრაფიული გეგმა
2. საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა(მასშტაბი 1:1000 ან 1:2000), ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი გლობალური თანამგზავრული სისტემით განსაზღვრული კოორდინატებით (GPS კოორდინატები.
3. განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);
4. არქიტექტურული ნაწილი (სამუშაო ნახაზები, ჭრილები, კონსტუქციული ნახაზები)
5. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია
6. მშენებლობის ორგანიზების პროექტი
7. სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;
8. საპროექტო ობიექტისა და მისი საერთო ხედების ამსახველი ფოტომასალა,პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების ფოტომონტაჟი;
9. სამუშაო პროექტი (არქიტექტურული სამუშაო ნახაზები, კონსტრუქციული მუშა ნახაზები და გაანგარიშებები);
10. მასალების და ნაკეთობების სპეციფიკაცია.
11. გარემოსდაცვითი მართვის გეგმა.

- ✓ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებები უნდა განისაზღვროს რესურსული ფასები - „მშენებლობის შემფასებელთა კავშირი“- ს მიერ შესაბამის პერიოდში გამოცემული „სამშენებლო რესურსების ფასები“ -ს კრებულით.
- ✓ ზედნადები ხარჯები და მოგების პროცენტული ოდენობა განსაზღვრული უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანების შესაბამისად.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

- ✓ პროექტით უნდა განისაზღვროს მშენებლობის ვადები
- ✓ პროექტში მიღებული ტექნიკური გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს დამკვეთ- პროექტირების პროცესში.
- ✓ პროექტი უნდა დამუშავდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.
- ✓ ტრანსპორტირების ხარჯები განისაზღვროს ძირითადი სამშენებლო მასალების ზიდვის მანძილის მიხედვით.
- ✓ შემსყიდველს უნდა წარედგინოს საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ელ. ვერსია კომპაქტდისკზე, ჩაწერილი Archi Cad პროგრამის ციფრული ვერსიის სახით და ხარჯთაღრიცხვა Excel პროგრამის ციფრული ვერსიის სახით.
- ✓ პროექტი დამუშავდეს 4 ეგზემპლარად.
- ✓ პროექტირების ვადა - 60 კალენდარული დღე

- ✓ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას გასათვალისწინებელია:

ხაიში-საგერგილი-ჭუბერის საავტომობილო გზის კმ 4,1 მონაკვეთის რეაბილიტაცია.

გზის ვაკისის სიგანე - 8 მ.

გზის სავალი ნაწილის სიგანე - 6 მ.

1. გზის პირველ კმ. მონაკვეთის სიგრძე-38 მ. ქვის ყრილის მოწყობა სავალი ნაწილის გაფართოების მიზნით-1710 მ3
2. გზის პირველი კმ. მონაკვეთის სიგრძე 42 მ. სავალი ნაწილის გაფართოება მარჯვენა ფერდში შეჭრით-1680 მ3
3. გზის პირველი კმ. მონაკვეთის სიგრძე 50-მ. სავალი ნაწილის გაფართოება კლდოვან გრუნტებში-1750 მ3
4. გზის პირველი კმ. მონაკვეთის სიგრძე-41 მ. სავალი გზის გაფართოება მარჯვენა კლდოვან ფერდში შეჭრით-656 მ3
5. გზის პირველი კმ. მონაკვეთის სიგრძე-29მ. სავალი გზის გაფართოება მარჯვენა კლდოვან ფერდში შეჭრით-290 მ3
6. გზის პირველი კმ. მონაკვეთის სიგრძე-66მ. რკინა-ბეტონის აივნის მოწყობა-66 გრძ/მ.
7. გზის პირველი კმ. მონაკვეთის სიგრძე-7 მ. რკინა-ბეტონის ქვედა საყრდენი კედლის მოწყობა-9 მ3.
8. გზის პირველი კმ. მონაკვეთის სიგრძე-38 მ. სავალი გზის გაფართოება მარჯვენა კლდოვან ფერდში შეჭრით-1730 მ3.
9. გზის პირველი კმ. მონაკვეთის სიგრძე 150 მ. სავალი გზის გაფართოება კლდოვან გრუნტებში-1200 მ3
10. გზის მეორე კმ. მონაკვეთის სიგძე 317 მ. სავალი გზის გაფართოება მარჯვენა კლდოვან ფერდში შეჭრით-12680 მ3.

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

11. გზის მეორე კმ. მონაკვეთის სიგრძე-19 მ. არსებული ლითონის მალიანიხიდის რეკონსტრუქცია. ხიდის სიგრძე-19 მ.
12. გზის მეორე კმ. მონაკვეთის სიგრძე-81 მ. გზის ღერძის გადაწევა მარცხნივ 6 მეტრით ჩვეულებრივ გრუნტებში-2270 მ3.
13. გზის მესამე კმ. მონაკვეთის სიგრძე-170 მ. სავალი გზის გაფართოება მარცხენა მხარეს-510 მ3.
14. გზის მესამე კმ. მონაკვეთის სიგრძე-1480 მ. სავალი გზის გაფართოება მარცხენა ფერდში შეჭრით მესამე კატეგორიის გრუნტებში-13320 მ3.
15. გზის მესამე კმ. მონაკვეთის სიგრძე-80 მ. ნაპირდანცავი ჯებირის მოწყობა გაბიონის ყუთებით(ორი იარუსი) – 240 მ3.
16. გზის მაოთხე კმ. მონაკვეთის სიგრძე-12 მ. ახალი ხიდის მშენებლობა-12 გრძ/მ.
17. გზის მეოთხე კმ. მონაკვეთის სიგრძე-530 მ. სავალი ნაწილის გაფართორბა მარცხენა ფერდში შეჭრით მესამე-მეოთხე კატეგორიის გრუნტებში-4770 მ3.
18. გზის მეხუთე კმ. მონაკვეთის სიგრძე-50 მ. ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობა გაბიონის ყუთებით (ორი იარუსი) – 150 მ3.
19. გზის მეხუთე კმ. მონაკვეთის სიგრძე-180 მ. სავალი გზის გაფართოება მარჯვენა მხარეს ყრილის მოწყობით-540 მ3.
20. გზის მეექვსე კმ. მონაკვეთის სიგრძე 421 მ. ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობა გაბიონის ყუთებით(ორი იარუსი) – 363 მ3. იგივე (სამ იარუსიანი) ჯებირი-135 მ3.
21. გზის მეექვსე კმ. მონაკვეთის სიგრძე-400მ. სავალი გზის გაფართოება მარცხენა მხარეს მე-3 მე-4 კატ. გრუნტებში-800 მ3.
22. გზის მეშვიდე კმ. მონაკვეთის სიგრძე-400 მ. სავალი გზის გაფართოება მარცხენა მხარეს მე-3 მე-4 კატ. გრუნტებში-1600 მ3.
23. გზის მეშვიდე კმ. მონაკვეთის სიგრძე-45 მ. სამ იარუსიანი ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობა გაბიონის ყუთებით-203 მ3.
24. გზის მეშვიდე კმ. მონაკვეთის სიგრძე-120 მ. სამ იარუსიანი ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობა გაბიონის ყუთებით-540 მ3
25. გზის მეშვიდე კმ. მონაკვეთის სიგრძე-80 მ. მდინარე ნენსკრაზე არსებული ლითონის ხიდის სარეგულაციო ნაგებობების მოწყობა გაბიონის ყუთებით-360 მ3.
26. გზის სავალ ნაწილზე წყალგამტარი რკინა-ბეტონის მოწყობა - 14 ადგილას.
27. კიუვეტების მოწყობა სავალი გზის მთელ სიგრძეზე ერთ მხარეს-7100 მ-ზე.
28. გზის 0-8კმ. მონაკვეთის სიგრძე 7100 მ. სავალი გზის საფუძვლის მოწყობა-56800 მ3.
29. გზის 0-8 კმ. მონაკვეთის სიგრძე 7100 მ. საავტომობილო გზის სავალი ნაწილის მოწყობა რკინა-ბეტონის საფარით-42600 მ2.

    პროექტის ზოგადი ამოცანაა ხაიში-საგერგილი-ჭუბეში სააავტომობილო გზისა და ხიდეების რეაბილიტაცია. ეს ერთადერთი გზაა რომლითაც სოფ. ჭუბერის მოსახლეობა და სოფ. ხაიშის მოსახლეობის ნაწილი უკავშირდება ცენტრალურ გზას. ის უზრუნველყოფს უსაფრთხო გადადგილებას სოფლების 420 კომლისათვის, საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მკვეთრად გააუმჯობესებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს.

    აღნიშნული პროექტის განხორციელება ხაიშისა და ჭუბერის სოფლებისათვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს.

ნაკრას ცენტრალური საავტომობილო გზის კეთილმოწყობა 6 კმ

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

1.გზის გაფართოების მიზნით გრუნტის მოჭრა ადგილზე გადაყრით 24000 მ3
2. გრუნტის მოჭრა ნაყარში გადაზიდვით 1200მ3
3. მიწის ვაკისის მოსწორება 36 000მ2
4.ბეტონის საფარისთვის საფუძვლის მოწყობა 24 000მ3
5. სადრენაჟე მილების მოწყობა 100გრძ/მ
6. ბეტონის საფარის მოწყობა 7000 მ3

დ. მესტიაში აღმაშენებლის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა 2,4 კმ

1. მოსაწყობია გზის გასამაგრებელი კედლები და არსებული კედლების აღდგენა.
2. გასაკეტებელია ტროტუარები.
3. გასაკეტებელია არსებული ხიდის რეკონსტრუქცია.
4. გამოსაცვლელია ღობეები.
5. გასაკეტებელია ასფალტის საფარი მთლიან გზაზე.

პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №

დ. მესტია „___“ „_____“ 2014 წელი

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

ერთ[illegible] მხრივ, თვითმმართველი ერთეული მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, [illegible]ომადგენელი გოჩა ხორგუანის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ _____(შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი ---------- სახით, დებენ ხელშეკრულებას იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი (კონკურსის ნომერი) ------ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა კონკურსანტის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმადაც, მომწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურეობა _____ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

(ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელეწტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი ინსპექტორების ჯგუფი.

2.2 კოორდინატორის ფუნქციებია:

2.2.1 გაწეული და/ან გასაწევი მომსახურეობის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულებების მოთხოვნასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

2.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3. ხელშეკრულების საგანი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

4. სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურეობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და დადგენილ სტანდარტებს.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2014 წლის ———.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეულ მომსახურეობაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება არ განიხილება.

7.2 შესაძლებელია ასევე წინასწარი ანგასიშსწორება ავანსის სახით, მხოლოდ საბანკო დარანტიის საფუძველზე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით;

8.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება;

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

8.4.2 არუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

8.4.3 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

8.4.4 უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობის განხორციელება პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება) სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დასრულებამდე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას.

9.4 ხელშეკრულბის პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით. რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შერულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;

10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მხარეთა შეთანხმება;

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

გ) ერთ-ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

12.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მომსახურება განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნის დაცვით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობის მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 30 მაისამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნება მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართილ ენაზე, 3(სამი) ეგზემპლარად და თითოეულს აქვს თანაბარ იურიდიული ძალა.

16.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი რჩება მიმწოდებელთან ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

“Semsyidveli” “mimwodebeli”

PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

რეკვიზიტები:

PDF-XChange
Click to buy NOW!
www.tracker-software.com

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პტერენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენთიფიკაციო კოდი:

ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

საბანკო რეკვიზიტები:

პრეტენდენტი _____

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com

ხარჯთაღრიცხვა

საპროექტო მომსახურების დასახელება	სამუშაოების სავარაუდო ღირებულება	მთლიანი საპროექტო მომსახურების ღირებულება (ექსპერტიზის ჩათვლით)
1	2	3
დ. მესტიაში აღმაშენებლის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა .	800 000 ლარი	
სოფ, ჭუბერის საავტომობილო გზის კეთილმოწყობა.	5 800 000 ლარი	
სოფ, ნაკრის ცენტრალური საავტომობილო გზის კეთილმოწყობა .	3 200 000 ლარი	
დღგ 18%		
სულ პროექტირების ღირებულება		